

ენა და ენათმეცნიერება

წულ/წვილ- ფუძიანი ლექსიკა ქართულში (დიაქტონიული ანალიზი)

მარიამ კობერიძე

maikoberidze@gmail.com

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გორი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.04>

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია წულ/წვილ ფუძიანი ლექსიკა. კვლევა ემყარება ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტების, ლექსიკონებისა და დიალექტური მონაცემების დიაქტონიულ ანალიზს, გათვალისწინებულია ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიც. გამოვლენილია ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეული „წული“ (შვილი, კაცი) და მისგან ნაწარმოები ლექსემების სტრუქტურა, გამოყენების სიხშირე, წარმოებლობა, ძველი და თანამედროვე სემანტიკა, გავრცელების არეალი, მნიშვნელობის მოდიფიკაცია, სინონიმური წყვილები და სემანტიკური კავშირები. საგულისხმოა კონვერსიის შედეგად „წული“ საზოგადო სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან აფიქსების საშუალებით საკუთარ სახელში გადანაცვლებით გვართა წარმოება (წულუკიძე, წულაძე, წულუკიანი, წულეისკირი, წულაია...).

საკუთარო სიტყვები: ქართული ენა, ლექსიკა, წული, სტრუქტურა, სემანტიკა.

ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტებზე, ლექსიკონებსა და დიალექტურ მონაცემებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ წულ/წვილ ფუძიანი ლექსიკის სტრუქტურა, გამოყენების სიხშირე, წარმოებლობა, ძველი და თანამედროვე სემანტიკა, გავრცელების არეალი, მნიშვნელობის მოდიფიკაცია, სინონიმური წყვილები და სემანტიკური კავშირები.

განსაკუთრებით საინტერესოა ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეული წული (წული) და მისგან ნაწარმოები ტერმინოლოგია, სემანტიკური კავშირი ლექსემასთან- ყმაწვილი (სიტყვის შემადგენელი ნაწილი წვილი). ორივე ლექსიკური ერთეული არსებითი სახელია.

ილია აბულაძე ძველი ქართული ენის ტექსტებზე დაყრდნობით იძლევა წული სიტყვის განმარტებას - ყრმა, წულებრი, ვაჟი: „განიკურნა წული (ყრმა) იგი. მთ. 17, 18; ყოველმან წულმან, რომელმან განაღოს საშორი“ ლ.2,23; „უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით იგი“ გამოსვლ. 1,16; „წინა-დასცუთო ყოველსავე წულსა მისსა“ გამოსლ. 22,48; „გესვა შენ წული“

იერემ, 20, 15; „წულმან“ ვინმე სცა მკერდსა“ სნდ.7, 25; „იქმნენ თავისა შენისა ხატი წულისანი და ისიძეედ მათ თანა“ 1, ეზე.16, 17; „სამთა უამთა წელიწდისათა ეჩუენოს ყოველი წული ყრმაი შენი (წულებრი შენი)“ (ღშობ, 185, 23).

განსაკუთრებით საყურადღებოა, საილუსტრაციო მაგალითი „ღვთისმშობლის შობიდან“: „ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი უკუნისამდე, უკუეთუ ვშვექალი ანუ წული, მოჰგუარო იგი ნიჭად უფალსა ღმერთსა ჩემსა და იყოს იგი მისა ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისასა“ (ღშობ, 185, 23). ვფიქრობთ, აქ წული ქალს უნდა გულისხმობდეს.

აქვე მოცემულია სიტყვაწარმოებითა და სიტყვაშეერთებით (კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად) მიღებული სემანტიკური ნაირსახეობები. -აკ კნინობითობის აფიქსით ნაწარმოები: **წულაკი**-მისშვილი.

-ებრ მსგავსების გამომხატველი თანდებულით ნაწარმოებია და - ივ¹ -ის¹ დართვით გავრცობილია **წულებრივი-ი** - მამრი, ვერძი, მამაკაცი. მაგ.: გინა თუ **წულებრივთა**, ანუ თუ მდედრთაგან“ (შესწირვიდეს).. გინათუ ვერძისა, გინათუ ნეზუს; (ლევიტ.3,1); „**წულებრივთაგან** ვიდრე მდედრებრივადმდე განავლინეთ გარეშე ბანაკისა“ დაბ. 15,3.

რთული ფუძის შემადგენელი ნაწილია: **სახლის-წული** - შინ შობილი, მსახურის შვილი, ბუში. „რამეთუ არა მეც თესლი, ამან **სახლის-წულმან** ჩემმან დამამკვიდროს მე“ დაბ. 15,3; „**სახლის-წულნი** მისნი და იგინიცა ჭამდენ პურთა მისთა. ლევიტ. 22, 11. **დედაწული-ოჯახი**; „წარვიდა მის თანა დედაწულითურთ“ ცხ.65,3. **დედის-დისწული** - დეიდაშვილი. **სიქალწულე, სიქალწულება²** - „ნუმისცემმარგალიტსაა ამას სიქალწულისასა და ტკეპნად ღორთა“. **ძის-წული** - შვილიშვილი. **სეფეწული** - „სამეფოისა კაცი“, მეფის გვარისა, მეფესთან დაახლოებული, სამეფო კარის კაცი: „მუნ იყო **სეფეწული** ერთი“ - იყო ვინმე სამეფოის კაცი“ ი.4, 56 (აბულაძე 1973 : 139, 164, 388, 396, 551, 55).

იმავე მნიშვნელობით გვხვდება ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“. **წული** - ახალშობილი; ვაჟი მამაკაცი; **წულებრი³** - მამრი, **წულებრიობითი⁴** - ვაჟკაცური, **დისწული** -

¹ -ივ სუფიქსი მიჩნეულია მოქმედებითი ბრუნვის მაწარმოებლად (მაგ., ღრმთივ). იგივე -ივ ერთვის ებრ-იან სახელს და გვაქსებრ-ივი: გონ-ებრ-ივ-ი, ქონ-ებრ-ივ-ი... (შანიძე 1953: 76, 148). იგივე წარმოება უნდა გვქონდეს სიტყვაში- **წულებრივი-ი**.

² სი-ე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებია აბსტრაქტული სახელი: სი-ქალწულ-ე. აქედან -ება მაწარმოებლით: სი-ქალწულ-ება (← სი-ქალწულ-ე-ება). ე-ს დაკარგვით.

³ **წულ-ებრ-ი** - ივ-ის გარეშე. შდრ. **წულებრივი**.

⁴ **წულ-ებრ-ი-ობ-ით-ი**. -ებრ -თანდებული, -ობა აბსტრაქტული სახელის მაწარმოებული. -ით მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი დერივატის ფუნქციით არის გამოყენებული.

მ. კობერიძე

დისშვილი, კნინობი ფორმით -**დისწულაკი**, მმისწული-ძმისშვილი, კნინობი ფორმით- **წულაკი**, მისწული - შვილიშვილი, მისწულისშვილი/ მისწულისწული- შვილილიშვილი, მმისწულობად - ძმობად, მონაზონთა კრებული. შესაძლებელია იგივე ძირი იყოს განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებში: **წულელა** -გამოძიება; **წულეული-ღერო** (სარჯველამე 2001: 264, 277).

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „**სეფე-წული**“ გვარიშვილობის აღმნიშვნელი სიტყვაა და უდრის „უფლისწულს“. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ უფლისწული მთლიანად ქართული სიტყვაა, ხოლო სეფეწულში - სეფე ნასესხებია სპარსულიდან, **წული** ძველი ქართული სიტყვაა (ჯავახიშვილი 1928: 194, 195).

იოანე საბანისძის თხზულებაში გვხვდება „**დისწული**“: „ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსჭისისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისამთა ძღვე გურგენ ერისთავისაც, დისწული ნერსჭისი, ნაცვლად დედისძმისა თვისისა ნერსჭისა ერისმთავრად ქუყანასა მას ქართლისასა“ (საბანისძე 1963: 57).

ძველი ქართული ენის ტექსტებსა და ლექსიკონებში დადასტურებული სიტყვა - **წული** და მისი მრავალრიცხოვანი სემანტიკური ვარიანტები გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულში ეს სიტყვა აქტიურად გამოიყენებოდა. **წული**, **წულაკი**, **სახლისწული**, **დედაწული**, **სიქალწულება**, **სეფეწული**, **წულებრი**, **წულებრიობითი**, **წულელა**, **წულეული** უფლისწული, დისწული/ დისწულაკი, მმისწული/ მმისწულაკი, მისწული, მისწულისშვილი/ მისწულისწული, მმისწულობად...

ძველი ქართული ენის ლექსიკონებში არ ჩანს ყმა+ **წვილ** - ი ფუძიანი სიტყვა „**ყმაწვილი**“. გვხვდება ყრმა-ვ/ყმა-ვ - ბავშვი, ახალგაზრდა ვაჟი (სარჯველამე 2001: 277).

სულხან-საბა ორბელიანი „**წულის**“ ბუდობრივ განმარტებას იძლევა: „**წული** - ვაჟი, რომელი არის სიმხნე და ახოვნება გონებისა დაბ. 34,24. **დედაწული**, **დისწული**, **საუფლისწულო**, **საწულო**, **სახლის-წული**, **მმის-წული**. აქვე გვხვდება ყმა/ ყრმა, ყმაწვილი, სიყმაწვილე (ორბელიანი 1993: 268, 387).

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში **წულის** სინონიმად დასახელებულია ვაჟი, მამრი, შვილი ლუკ.2,23. მისი განმარტებით: **ვაჟი-წული**, ძე, შვილი; **მამრი-ბუნებითად** მამალი ცხოველი; **შვილი** - ნაშობი კაცთა, ვაჟი ანუ ქალი (ფსალ.77, 4,5)/ ესევე ეწოდების ნაშობსა სხუათაცა ცხოველთასა (ფსალ. 28,1,6). კუალად მამრსა ეწოდების **წული** ეწოდების მარტივად, არამედ რთული არა საზოგადო, ვითარ მმისწული, დისწული, მაზლისწული,

უფლისწული, ყმაწვილი/ყრმაწული/ ყმარწვილი და სხვ . ყმა-ჭაბუკი, ყრმა-ჩვილი ვაჟი (ფსალ. 8,2). ყრმაა ქალიშვილი ანუ ქალწული (ჩუბინაშვილი 1961: 245, 414, 425, 454).

როგორც განმარტებიდან ჩანს, **წული** მრავალმნიშვნელიანი სიტყვა ყოფილა, რომელიც გულისხმობდა, როგორც ვაჟს, ისე ზოგადად შვილს და მამალ ცხოველსაც.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **წული** - 1. იგივეა, რაც შვილი. დიდმა მეფემ სამუდამოდ უარი თქვა მეფობაზე, რაკი ტახტი თავის წულს გადასცა (შ. არაგვის.); 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი: **ძმისწული, დისწული, უფლისწული, სეფეწული, ქალწული, დედაწული**. **წულის-წული** იგივეა რაც შვილიშვილი. უყვართ თავისი მამული, ზრდიან შვილს **წულისწულსაო** (ა. დავით.). **ყმაწვილი** რამდენიმე მნიშვნელობით დასტურდება: 1. იგივეა, რაც ბავშვი; 2. ახალგაზრდა, მოწიფული (ვაჟი ან ქალი); 3. ახალგაზრდა ვაჟი, ჭაბუკი (ქეგლ 1964: 1178).

ქართული ენის ციფრულ ლაბორატორიაში **წულის** სინონიმად სახელდება ვაჟიშვილი, ძე; ანტონიმი-ქალიშვილი, ასული; ჰიპერონიმი-შვილი¹. სულ დაიძებნა ძველი ქართული ენის ტექსტებიდან ლემების მიხედვით 81 ფრაზა (სინონიმთა ლექსიკონი, თ.გ).

ფშავ-ხევსურეთში „ჯვართ ენაში“ **წული** აღნიშნავს შვილს, მამავაცს, მამრს, **ახალწული** კი - ახალდაბადებულ ბავშვს (ოჩიაური 1954: 129-132).

აქ საყურადღებოა ისიც, რომ „ჯვართა ენა“ მხოლოდ ლექსიკას ემყარებოდა და ჩვეულებრივ სასაურო მეტყველებაში ყოველდღიურად არ გამოიყენებოდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენთვის საინტერესო ტერმინის - **წულის** გამოყენების სიძველეზე.

ალექსი ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონში“ აღნუსხულია ხევსურეთში დადასტურებული **წულ-წვილ-** ფუძიანი ლექსიკა: ახალწული, ბიძა-ძმისწული, გაყმაწვილდების, დიაც - ყმაწვილი, დისწულ-დედიძმანი, იქალდისწულებს, მესაწულე [ე], პურიან-წულიანი, საწულე, საწულეობა, ქალ-დისწული, ქმრისძმისწული, ყმაწვილობს, ყმაწვილ-ყმუწვილი, შვილ-ძმისწულები, **წული**, **წულიანი**, **წულიანობა**, **წულიან-პურიანი**, **წულიან-სასწაულიანი**, **წულის [წულადის]** სანთელი, **წულ-ყმა** (ჭინჭარაული 2005: 1090).

ხევსურეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალები გვამცნობს, რომ აქ **წული** და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია აქტიურად გამოიყენებოდა.

აქ გავრცელებული იყო სოციალურ-რელიგიური ხასიათის წესი „საწულე“, რომელსაც ასრულებდნენ ერთი წლის ასაკის ვაჟის მიმართ ¹ ზოგადი სახელი.

მ. კობერიძე

თემის მთავარ სალოცავში, რომლის შესრულების შემდეგ ბავშვი ხდებოდა თემის მთავარი სალოცავის „ყმა“. „საწულებადახდილი“ ბავშვი „ყმის“ გარდა ტერმინ „წულ-ყმითაც“ მოიხსენიებოდა. საწულეს პარალელურად ვხვდებით ტერმინებს „საწულ-ყმო“ // „საწულ-ყმე“. წულ- ყმის ხმარებას ვხვდებით ხუცობათა ტექსტებშიც, სადაც იგი „წულის“ პარალელურად იხმარება. აქედან არის შემდეგ ნაწარმოები: საწულე, ახალწული, საწულადო. საწულედან ნაწარმოებია ტერმინი საწულეობა, სასაწულეო, მესაწულე. ახალწული ახალშეძენილ ვაჟიშვილს ეწოდება, აქედან არის **საწულეობა** - ის დღე, როდესაც საწულეს გადაუხდიან **ახალწულს**. ახალწულის მამას **მესაწულე ჭევია**; საკლავს, რომელსაც ჯვარში დაკლავენ **საწულეობა** დღეს, სასაწულეო ზღვენი ეწოდება; სანთელს, რომელსაც ანთებენ, **საწულადო სანთელი**, ხოლო **საწულე** გადახდილ ახალწულს წულ-ყმა ეწოდება (ერიაშვილი 1972: 179-180, 361).

სერგი მაკალათიას მასალებით დასტურდება „**საწულო გადასახადი**“ (ნახევარი თუნგი არაყი და კვერები), რომელსაც მიართმევდნენ ახალდაბადებული ბავშვის მშობლები ხატს (მაკალათია 1930: 124).

ხევსურეთში წელიწადის დადგომის წინა საღამოს მეკვლეებთან ერთად ჯვარში მიდიოდა ოჯახის ყველა მამაკაცი, მიჰერნდათ კომლზე თითო ქადა. „ქადაზე ზედ იყო დაწყობილი სანთლები იმდენი, რამდენიც ვაჟი და მამაკაცი იყო ოჯახში. იმას ეწოდებოდა **წულადი სანთელი. წულის სანთელი** იცოდნენ ფშავშიც (ქეშიკაშვილი 1990: 211).

როგორც საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს წულ/ წვილ-ფუძიანი ლექსიკა ფშავ-ხევსურეთში მრავალფეროვნობით გამოირჩევა. საინტერესოა, გამოყენებული საწარმოო საშუალებები. **-იან** ქონების აფიქსი - წულ-იან-ი, იმავე აფიქსიანი სიტყვიდან -ობა სუფიქსით ნაწარმოებია აბსტრაქტული სახელი წულ-იან-ობა.

სა-ო დანიშნულების აფიქსი: სა-წულ-ე; -ობა-ს დართვით სა-წულ-ე-ობა. **სა-ო** -დანიშნულების აფიქსით: სა-წულ-ად-ო. **-ად** ვითარებითი ბრუნვის ნიშანი გამოყენებულია დერივატის ფუნქციით.

მე- სა-წულ-ე. მე-ხელობის აფიქსი, **სა-ე** - დანიშნულების აფიქსი. მე-სა-წულ-ე-ო- დანიშნულების **სა-ო** პრეფიქს-სუფიქსი, **მე-ო** ხელობის მაწარმოებელი.

წულ-ფუძე გვხვდება რთული სიტყვების შემადგენელ ნაწილად: დისწული, შვილ-დისწულები, პურიან-წულიანი, წულიან-სასწაულიანი, წულ-ყმა, საწულ-ყმა/ საწულ-ყმა.

როგორც ჩანს, ხევსურულში **წულ** - ფუძიან ლექსიკასთან ერთად გვხვდება **წვილ-** ფუძისაგან შედგენილი ლექსიკა. კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად, მაგ.: დიაც-ყმაწვილი. ფუძის გაორკეცებით, ა-უ

აპარი წერტილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაზვ, 2024, №2(24)

მონაცემებით მიღებულია ყმაწვილ-ყმუწვილ-ნ-ი (ბიჭ-ბუჭები).

წულ-/წვილ- ფუძეები გვხვდება ზმნებშიც. მაგ.: აწმყოს მწკრივის ფორმა - **ყმაწვილაობს** (ყმაწვილურად იქცევა); მყოფადის მწკრივის ფორმა - **იქალდისწულებს;** ხოლმეობითის (მრავალგზისობის) ძველი ქართულისებური წარმოება - **გაყმაწვილდების** (გაახალგაზრდავდება).

ონომასტიკურ სიტყვაწარმოებაში ცნობილია კონვერსიის მეთოდი, რაც გულისხმობს საზოგადო სახელის ან საკუთარი სახელის გადანაცვლებას ერთი ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან მეორეში აფიქსაციის გზით (ცხადაია 2000: 14).

სუფიქსოიდი (მორფემოიდი) არის ცოცხალი ლექსიკური ერთეული, რომელიც გარკვეულ სიტუაციაში (კონტექსტში) ითავსებს სუფიქსის ფუნქციას. გვარსახელთა დიდი ნაწილი გამოხატავს მიკუთვნებას ეპონიმისადმი ერთი წინაპრისაგან მომდინარეობს.

ქართულ ენაში დომინირებს „მე“ და „შვილ“ სუფიქსოიდების შემცველი გვარები. ქართულში შვილ ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრულში სქირი/სკირი „შვილი“, რომელიც გვხვდება რამდენიმე გვართან. სქირი (// სკირი) მეგრულში დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, ამოსავალია სახელი წულა. შდრ. წულაა, წულაძე (ცხადაია 2000: 160).

XVII საუკუნის დამლევის საეკლესიო საბუთებში დასტურდება წულაისძირი: წულა-იშ-სქირი - წულა-ი-სქირი - წულეისძირი - წულეისკირი. საწულეისკირო სოფელია მდინარე ცივის ნაპირზე, სენაკის რაიონში, დაფიქსირებულია მე-17 საუკუნის ბოლო მეოთხედის შედგენილ შეწირულობის წიგნში: „პაპუნა ჩიჩუამ ჩენი წულეისკირი მოგვპარა“ -წერს კათალიკოს ნემსაძე, ხოლო ვარიანტი წულაისქირი გვხვდება XVIII საუკუნის დამდეგის საბუთებში (დონდუა 1970: 613, 677).

თანამედროვე ქართულში „წული“ ადამიანებს შორის ნათესაური დამოკიდებულებისა და მნიშვნელი ტერმინია და შვილს ნიშნავს, დასავლეთ საქართველოში - უფროს ვაჟს, ხოლო ქართლში სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა გაფართოებულია და აღნიშნავს, როგორც ვაჟს, ისე ქალს. „წული“ (//შვილი) საზოგადო სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან აფიქსების საშუალებით საკუთარ სახელში გადასვლით ნაწარმოებია ქართული გვარები: წულუკიძე, წულაძე, წულუკიანი, წულეისკირი, წულაა... (კოშერიძე 2024: 272).

ამრიგად, ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტებზე, ლექსიკონებსა და დიალექტურ მასალებზე დაკვირვება და **წულ-/წვილ-** ფუძიანი ლექსიკის დიაქრონიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ **წული (წულ-)** ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულია, მისგან მრავალფეროვანი წარმოების საშუალებებით (-ებრ,

მ. ქობერიძე

-ებრ-ივ, -ობა, -ივ, -აკ, -ელა, -ეულ, სა-ო, სა-ე, სი-ე ...) და კომპოზიტურ სიტყვათშეერთებით მიღებულია მრავალრიცხოვანი ტერმინები. მას სემანტიკური კავშირი აქვს ლექსემასთან **ყმაწვილი** (სიტყვის შემადგენელი ნაწილი წვილი).

როგორც ეთნოლინგვისტური ტერმინი „წული“ და მისი სემანტიკური ვარიანტები აქტიურად გამოიყენებოდა ფშავ-ხევსურეთში. კვლევამ აჩვენა, რომ „წული“ თანამედროვე ქართულში ადამიანებს შორის ნათესაური დამოკიდებულების აღმნიშვნელი ტერმინია და შვილს ნიშნავს, დასავლეთ საქართველოში - უფროს ვაჟს, ხოლო ქართლში სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა გაფართოებულია და აღნიშნავს, როგორც ვაჟს, ისე ქალს. „წული“ (//შვილი) გვხვდება ქართულ გვარებში: **წულუკიძე, წულაძე, წულუკიანი, წულეისკირი, წულაია...**

ლიტერატურა

- აბულაძე, ილია. 1973. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: მეცნიერება.
- დონდუა, ვარლამ. 1967. „ლიპარტეთისა“ და ანალოგიური გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში“. საიტორიო ძიებანი. ტ. 1. 101-141.
- ერიაშვილი, ქუჟუნა. 1972. „საწულესა“ და „მისამბარეოს“ წესები ხევსურეთში“. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII. 179-180.
- კობერიძე, მარიამ. 2024. „წული“ ტერმინის შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტები“. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. XI . 366-375. <http://www.sciencejournals.ge/>
- მაკალათია, სერგი. 1930. მთიულეთი. ტფილისი: სახელგამი.
- ორბელიანი, სულხან-საბა. 1993. ლექსიკონი ქართული. II. თბილისი: მერანი.
- ოჩიაური, თინათინ. 1954. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- საბანისძე, იოვანე. 1963. წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტისისა ჰაბოვსი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V- X ს.). 46- 81. დასაბეჭდად მომზადდა ი. აბულაძის ხელმძღვანელობით. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- სარჯველაძე, ზურაბ. 2001. ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. თბილისი: ს.ს. ორბელიანის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- სინონიმთა ლექსიკონი. ქართული ენის ციფრული ლაბორატორია. (თ.გ). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://dlab.ug.edu.ge/translate?source=ka&target=en&text=21.07.2024>.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1964. რვატომეული.
რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა. ტ. VIII. თბილისი: მეცნიერება.
ქეშიკაშვილი, ივანე. 1990. ღმერთები, მითები, რიტუალები. თბილისი.
შანიძე, აკაკი. 1953. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. თბილისი:
თსუ
ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ. 1961. ქართული ლექსიკონი. თბილისი: საბჭოთა
საქართველო.
ცხადაია, პაატა. 2000. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში.
თბილისი.
ჭინჭარაული, ალექსი. 2005. ხევსურული ლექსიკონი. თბილისი: ქართული ენა.
ჯავახიშვილი, ივანე. 1928. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი
პირველი. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტი.

Language and Linguistics

Tsul/Tsvil-Based Vocabulary in Georgian (Diachronic Analysis)

Mariam Koberidze

maikoberidze@gmail.com
Gori State University
Gori, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.04>

The present scientific article presents the vocabulary based on tsul/tsvil. The research is based on the diachronic analysis of ancient and modern Georgian language texts, dictionaries and dialectal data, the materials we found are also taken into account. The lexical unit of the old Georgian language “tsuli” (“son”, “man”) and the structure of lexemes derived from it, frequency of use, production, ancient and modern semantics, area of distribution, modification of meaning, synonymous pairs and semantic connections are revealed. In Georgian, the regular equivalent of the stem “shvili” is “skiri”//“sk’iri” (“son” in Megrelian), which can be found in several surnames such as Tsulaia, Tsuladze.

Keywords: Georgian language, vocabulary, tsuli, structure, semantics.

The observation of ancient and modern Georgian language texts, dictionaries, and dialectal data allows for the revelation of the structure of the **tsul/tsvil** based vocabulary. This includes analyzing the frequency of use, production, ancient

3. ქობერიძე

and modern semantics, distribution area, meaning modification, synonymous pairs, and semantic connections.

Of particular interest is the lexical unit “tsuli” (tsul-) from the Old Georgian language and the terminology derived from it, as well as its semantic connection with the lexeme “kmatsvili” - “boy” (a constituent part of the word “tsvil-”). Both lexical items are nouns.

Ilia Abuladze defines the word “tsul-i” based on Old Georgian language texts as “**boy**,” “**little man**,” “**son**.”

The illustrative example from “The Nativity of the Virgin” is especially noteworthy: “When I birthed **tsuli** (“**woman**”).” We believe that “**tsuli**” must mean a woman in this context.

Semantic variations obtained through word formation and combinations (as part of composites) are presented here. A product with the suffix “-ak” is “tsulaki”, meaning “nephew.” The suffix “-ebr” is formed by conjunction expressing similarity, and by adding “-iv,” it extends to “tsulebri” meaning “male,” “ram,” or “man.” The suffix “-iv” is crucial in forming instrumental case. Thus, “-iv” attaches to “-ebr” in the name, resulting in “tsul-ebr-iv-i”.

It is a constituent part of the compound stem: “sakhlis-tsuli” (born at home, son of a servant); “dedatsuli” (family); “dedis-distsuli” (cousin). The terms “sikaltsule” and “sikaltsuleba” are also derived from this root. An abstract noun is created with the prefix-suffix “si-e”: “si-kaltsul-e” (virginity, womanhood). Subsequently, the addition of the suffix “-eba” forms “si-kaltsul-eba”. By losing the “e,” the term “sepetsuli” emerges, meaning a royal courtier or someone close to the king.

The same meaning can be found in Zurab Sarjveladze’s “Collection of Words of the Ancient Georgian Language”: “tsuli” - means newborn or male son; “tsulebri” - means male; “tsulebriobiti” means manly; “distsuli” - means niece/nephew (from sister’s side), with the hypocoristic form “distsulaki”; “dzmistsuli” means niece/nephew (from brother’s side), with the hypocoristic form “tsulaki”; “dzistsuli” means grandson, with variations like “dzistsulishvili”/ “dzistsulistsuli” for grandson; and “dzmistsulobai” refers to დმობა (brotherhood) or a group of nuns. It is possible for the same root to appear in words with different meanings, such as “tsulela” - investigation and tsuleuli” - stem.

According to Ivane Javakhishvili, “sepe-tsuli” is a term denoting family affiliation and is equivalent to “uplistsuli” - prince.” The distinction between them is that “Uplistsuli” is an entirely Georgian word, whereas “Sepetsuli” incorporates “sepe,” borrowed from Persian, while “ssuli” is an ancient Georgian word. In the writings of Ioane Sabanisdze, the terms “cousin, niece, nephew” are noted.

The term - “-tsuli” as confirmed in ancient Georgian texts and dictionaries,

along with its numerous semantic variants, provides a basis for assuming that this word was actively used in ancient Georgian.

In the dictionaries of the Old Georgian language, the root word “kma + tsvil – i” (a boy) is not found. Instead, there is “krma-i / kma-i” which means “child” or “young son.”

Sulkhan-Saba Orbeliani defines “tsuli” as “a son, who signifies strength and mental fortitude”. He also includes meanings such as “dedatsuli” - family, “distsuli” - niece or nephew (from sister’s side), sauplistsulo) - future prince or prince-like, “satsulo” - manhood, “sakhlis-tsuli” - servant’s son, “dzmis-tsuli” - niece or nephew from brother’s side. This also indicates that “kma/krma” – a young man, “kmatsvili” – a boy, “sikmatsvile” – boyhood.

In the dictionary of Niko Chubinashvili, “tsuli” is listed as a synonym for “son” and “child”. His definition includes: “vazhi-tsuli” — son, child. “mamri” (male): naturally male animal. “child”: born from humans, either a son or daughter . It is also called the offspring of other animals . A man is called a “tsuli” simply, not in a complex way, such as nephew, niece, cousin, prince, boy/lad/old man and others. Servant-young man, child-infant son . A child is a daughter or - a virgin.

According to the mentioned definition, “tsuli” was a multi-meaning word, which meant both a son and a child in general, as well as a male animal.

According to the explanatory dictionary of the Georgian language: “tsuli” - 1. son. 2. The second component of the compound stem: “dzmistsuli” - nephew (from brother’s side), “distsuli” - nephew (from sister’s side), “uplistsuli” - a prince, “sepetsuli” - a nobleman, “kaltsuli” - a maiden, “dedatsuli” - family (mainly women and children). “tsulis-tsuli” is the same as grandson. “kmatsvili” has several meanings: 1. child; 2. young, mature (son or daughter); 3. Young son, young man.

In Pshav-Khevsureti, წული (tsuli) refers to a child, a man, or a male, while “akhaltsuli” denotes a newborn child. The use of the term “tsuli” is particularly noteworthy, as it once again indicates its antiquity.

Aleksi Chincharauli’s “Khevsuretian Lexicon” contains a tsul/tsvil-based vocabulary confirmed in Khevsureti.

Surnames containing the suffixes “-dze” and “-shvili” dominate the Georgian language. In Georgian, the regular equivalent of the stem “shvili” is “skiri”//“sk’iri” (“son” in Megrelian), which can be found in several surnames such as Tsulaia, Tsuladze .

In modern Georgian, წული (tsuli) is a term denoting kinship between people and typically means a son. In Western Georgia, it specifically refers to an older son, while in Kartli, the semantic meaning of the word is expanded to include

3. ქობერიძე

both a son and a daughter. As a result of this semantic conversion, it is significant to produce surnames by changing from the lexical-semantic and functional group of the public name “Tsuli” to one’s own name through the use of affixes (e.g., Tsulukidze, Tsuladze, Tsulukiani, Tsuleiskiri, Tsulaia...).

Thus, the observation of ancient and modern Georgian texts, dictionaries, and dialectal materials, along with the diachronic analysis of the “tsul-/tsvil-” based lexicon, allows us to conclude that “tsuli” (tsul-) is a lexical unit of the ancient Georgian language. It has various means of production (-ebr, -ebr-iv, -oba, -iv, -ak, -ela, -eul, sa-o, sa-e, si-e...) and numerous terms derived through composite word-joining. Additionally, it has a semantic connection with the lexeme “kmatsvili” (boy) (a constituent part of the word tsvil-).